

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტი  
სოციალური სამუშაოს სამაგისტრო პროგრამა  
მაგისტრანტი: მარიამ ბარბაქაძე



სამაგისტრო ნაშრომი:

# *სოციალური მუშაკის სამსახურის როლი ფსიქიკური დაავადებების მართვაში*

ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი სოციალურ სამუშაოში, MSW;

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, PhD

თბილისი

2010

## სარჩევი

სარჩევი.....	2
აბსტრაქტი .....	3
თავი I. რას ნიშნავს ფსიქიკური დაავადება .....	4
1.1. საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციფიკა.....	6
თავი II. ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების სოციალური ინტეგრაციის პროგრამების მიმოხილვა ევროპის ქვეყნების მაგალითზე.....	7
2.1. სხვა ქვეყნებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის პრაქტიკისა და გამოცდილების შესწავლა.....	7
2.2. საკანონმდებლო რეგულაცია არსებულ ქვეყნებში .....	8
2.3. შშმ პირთათვის განკუთვნილი სერვისები .....	9
თავი III. საქართველოს კანონი “ფსიქიატრიული დახმარების შესახებ” .....	12
3.1. ფსიქიატრიული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა.....	12
3.2. სხვადასხვა შეხედულებები ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების მიმართ.....	13
3.3. ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანების უფლებები.....	14
3.4. ფსიქიკური დაავადება და დასაქმების პრობლემა.....	15
თავი IV. სტიგმა.....	17
თავი V.ოჯახის/საზოგადოების მხარდაჭერის როლი ფსიქიკური პრობლემების მქონე პირებთან	19
თავი VI. რა არის სოციალური სამუშაო.....	23
6.1.სოციალური სამუშაოს ამოცანები .....	24
6.2.სოციალური მუშაკის ფუნქციები პრაქტიკულ საქმიანობა .....	26
6.3.სოციალური სამუშაოს განვითარების ისტორია.....	26
6.4.სოციალური სამუშაოს განვითარება საქართველოში .....	27
თავი VII. ექსპერიმენტული ნაწილი .....	29
7.1. კვლევის მიზანი.....	29
7.2. კვლევის მეთოდოლოგია .....	29
7.3. კვლევის რესპოდენტები.....	29
7.4. მონაცემთა ანალიზი:.....	30
7.5. კვლევის თეორიული მნიშვნელობა .....	30
7.6. კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა.....	30
თავი VIII. კვლევის შედეგები .....	31
თავი IX. დასკვნები და რეკომენდაციები .....	34
გამოყენებული ლიტერატურა: .....	38

## აბსტრაქტი

თემა ეხება ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებთან დაკავშირებულ წარმოდგენებს, აზრს და სტიგმას საზოგადოების მხრიდან.

თუ გადავხედავთ სხვადასხვა ქვეყნების მონაცემებს ხშირია შემთხვევები სადაც ფსიქიკურად დაავადებული ადამიანები საზოგადოების მხრიდან უგულვებელყოფილნი არიან, მხოლოდ მათი დაავადების გამო. მეტიც ხშირად ოჯახი მათი შეხედულებებისამებრ ცდილობს დამალოს მათი მდგომარეობა, რაც მკურნალობის ეფექტურობას საგრძნობლად ადაბლებს.

მრავალი ლიტერატურის მოძიების და გაცნობის საფუძველზე ნაშრომში არის განხილული თუ რაოდენ დადებითი გავლენა შეიძლება იქონიოს პაციენტისათვის ოჯახის და საზოგადოების მხარდაჭერამ.

ნაშრომში ასევე განხილულია სოციალური სამუშაოს პრაქტიკული საქმიანობის ძირითადი ელემენტები, ფუნქციები, თუ რის მიხედვით აკეთებს სოციალური მუშაკი შემთხვევის შეფასებას, როგორ აწარმოებს მენეჯმენტს და რას ეყრდნობა პრაქტიკული საქმიანობის შეფასებისას.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე წარმოდგენილია კვლევის შედეგები და რეკომენდაციები. თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სოციალური მუშაკის როლი ფსიქიკური დაავადებების მქონე პაციენტებთან და მათ ოჯახებთან.

## შესავალი (ლიტერატურის მიმოხილვა)

თემასთან დაკავშირებით გავეცანი სხვადასხვა ლიტერატურას, რომლებშიც განხილულია რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანების თავისებურებები, მათი როლი და უფლებები საზოგადოებაში.